ტრადიციული სვანური საცხოვრისის არქიტექტურა და მისი ტრანსფორმაციის პრობლემები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ქალაქგეგმარებისა და დიზაინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი **მირანდა გულბანი**

ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ლალი ხვედელიძე**

არქიტექტურა სამყაროს ჟამთაღმწერელია, ის მაშინაც საუბრობს, როცა ლეგენდები სდუმან.

ნიკოლაი გოგოლი

კულტურა აღწერს თითეული ერის ინტელექტუალური, სულიერი და ესთეტიკური განვითარების ზოგად პროცესს, რაც ამ ერის ცხოვრებისა და ისტორიის მთელი რიგი ასპექტებითაა განპირობებული. მოაზროვნეთა ერთი ნაწილი ტერმინში - კულტურა - სწორედ ადამიანის შემოქმედებითი არსებობის შედეგებს, ხელოვნების ნიმუშების ერთიანობას მოიაზრებენ. არქიტეტქტურაც, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, გამოძახილი, ერთგვარი შედეგია სხვადასხვა ერების ცხოვრების ნირის, აზროვნების, , გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ფაქტორებისა. სწორედ ამ ჭრილში მინდა დაგანახოთ სვანეთის ტრადიციული არქიტექტურის თავისებურებები.

სვანეთი არქაული ეთნოგრაფიის, ტრადიციული ყოფისა და უძველესი წეს-ჩვეულებების მხარეა. აქ ადგილობრივი კულტურა უწყვეტ ჯაჭვს ქმნის ადრე ბრინჯაოს ხანიდან დღემდე. ტრადიციული სვანური კულტურის, მათ შორის არქიტექტურის დახასიათების გასაღები მის გეოპოლიტიკურ მდებარეობასა და ისტორიაშია. ქართული შუასაუკუნეების არქიტექტურის მრავალფეროვან ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მაღალმთიანი რეგიონების, მათ შორის სვანეთის საცხოვრებელ სახლებსა და თავდაცვით ნაგებობებს.

მთის საცხოვრებელი კომპლექსებისა და ციხე-კოშკების არქიტექტურა მრავალი სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული. მათ შორის თემური წყობილების ფორმების ხანგრძლივი შენარჩუნებით, რამდენიმეთაობიანი ოჯახის სიდიდით, თავდაცვის საჭიროებით, მკაცრი და უმძიმესი კლიმატური პირობებით. კავკასიონის მაღალმთიან კალთებზე მდებარე სვანეთისთვის დამახასიათებელია უხვნალექიანობა, უხვთოვლიანობა, ხანგრძლივი ზამთარი და მოკლე ზაფხული. უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენთა მთიელთა მეურნეობრივი საქმიანობა, უპირველესად მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა), აგრეთვე მიწათმოქმედებაც (აქ მოჰყავდათ ხორბლის უნიკალური ჯიშები, შვრია, ფეტვი და სხვა მარცვლეული კულტურები). სვანური საცხოვრისების არქიტექტურაზე მნიშვნელოვნად აისახა აგრეთვე შემგროვებლურ-სამონადირეო საქმიანობები. არქაული ეპოქიდან მომდინარე რწმენა–წარმოდგენები, მიცვალებულთა კულტი, ოჯახის მოწყობის წესი თუ გენდერული

ურთიერთობები ასევე მნიშვნელოვნად განაპირობებდა საოჯახო საცხოვრისისა და კოშკების ფუნქციურ თავისებურებებს. შემდგომ განვიხილავთ ზემოჩამოთვლილი ფაქტორებისა და სხვა წვრილ-წვრილი მიზეზების გავლენას ზოგადად სვანური არქიტექტურის და მისი სხვადასხვა ელემენტების ფორმირებაზე.

ტრადიციული სვანური საცხოვრისი

სოფლური საცხოვრებელი სახლების დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად, საქართველოში ტერიტორიული პრინციპით სამი უმთავრესი ჯგუფი გამოიყოფა:

- აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობი რაიონები.
- დასავლეთ საქართველო, სვანეთისა და მთის რაჭის გამოკლებით.
- კავკასიონის მთიანეთი.

სწორედ ამ უკანასკნელში, კავკასიონის მთიან ფერდობებზე გაშენებული სხვადასხვა კუთხის არქიტექტურასთან ერთად მოიაზრებენ ტრადიციულ სვანურ საცხოვრისებსაც და მას, რა თქმა უნდა, გამორჩეულ ფენომენად წარმოაჩენენ. სვანური სახლები მკვეთრად განსხვავდება იმერეთისა და საერთოდ კოლხეთის სამოსახლოსაგან. აქ ყველაფერი შემჭიდროებულია და შეკუმშულია მცირე ფართობზე. არსებითია ისიც, რომ საქართველოს ბარის საცხოვრებლებისგან განსხვავებით, სვანეთში (და საერთოდ, კავკასიონის მთიანეთში) საცხოვრებელ სახლს თავდაცვის ფუნქციებიც ეკისრება. განსხვავებულია საშენი მასალაც: მართალია, ხეს შენობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, მაგრამ საკედლე მასალა მხოლოდ ქვაა, უშგულში იყენებდნენ შიფერს. დადგენილია ძველებური საცხოვრებლის ორი ძირითადი სახეობა: **ციხე – სახლი** და **მურყვამიანი სახლი**. ციხე–სახლის ნიმუშები სვანეთის ფარგლებში მხოლოდ უშგულშია დარჩენილი, მაგრამ სვანეთის გარდა, იგი მთა–რაჭაშიც არსებობდა, სოფელ ღებში, ხოლო მისი მონათესავე ან პარალელური ხასიათის სახლები ხევსურეთში, თუშეთსა და ხევშია დადასტურებული.

ბალსზემოთა სვანეთი

შედარებით უფრო ძველ **ციხე – სახლში** საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები ერთ ნაგებობაშია თავმოყრილი. ჩვეულებრივ, ეს სამსართულიანი საცხოვრებელი სახლია, რომელსაც უჭირავს 80–100 კვ. მ. ფართობი. კამარით გადახურულ პირველ სართულში მოთავსებულია მაჩვიბი – საზამთრო სადგომი შუაში კერითა და იმავე ოთახში საქონლისთვის გადატიხრული ადგილით. მეორე სართულზე, მაჩვიბის თავზე, მდებარეობს დარბაზი – საზაფხულო საცხოვრებელი, სადაც ზამთარში თივის მარაგს ინახავენ. ციხე–სახლის მაჩვიბსა და დარბაზში სადგომების სიმაღლე 3–დან 4,5 მეტრამდეა, შუქი აღწევს მხოლოდ ვიწრო სათოფურებიდან და ამიტომ აქ მუდამ ბნელა. დარბაზის თავზე მოთავსებულია ორქანობიანი

სახურავით გადახურული მესამე სართული, ძლიერ გადმოშვერილი სათოფურებით – ეს, არსებითად, ისეთივე დამაგვირგვინებელი ნაწილია, როგორიც მთელი სვანეთის კოშკებს აქვს; ამ სართულს საგანგებო თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ციხე–სახლის კედლები შიფერით არის ნაშენი; მათი სისქე პირველ სართულზე 1,2=1.3 მეტრს აღწევს, ზემო სართულზე 80–90 სმ–მდე მცირდება. სართულშუა გადახურვა ჩვეულებრივია სვანეთისთვის – ქვის, ორფერდა, ხის ქარგილებზე ნაშენი... ან ხის – მრგვალი მორებისგან... სართულებს შუა კავშირის დასამყარებლად, ჩვეულებრივ სვანურ მისადგმელ ძელ–კიბესთან ერთად, უშგულის სახლებში ზოგჯერ ქვის კიბესაც აშენებდნენ, ძალიან ციცაბო საფეხურებით.

გარეგნულად ციხე-სახლი ჩვეულებრივ სვანური კოშკს ემსგავსება, თუმცა იგი ამ უკანასკნელთან შედარებით დაბალი და განიერია. სალოდეების არქიტექტურული დამუშავებაც ისეთივე ხასიათისაა, როგორსაც კოშკებში ვხვდებით.

მურყვამიანი ანუ კოშკიანი სახლი, მით უფრო, როცა მის ეზოს გალავანიც არტყია, სვანური საცხოვრებლის ყველაზე უფრო განვითარებულსა და დასრულებულ სახეს წარმოადგენს.

ამ სახლის უმთავრესი ელემენტებია: საკუთრივ ორსართულიანი (იშვიათად ერთსართულიანი) საცხოვრებელი სახლი; მის გვერდით მდგომი კოშკი (მურყვამი) და ეზო. „ერთი ოჯახის მიწის ნაკვეთი გარშემორტყმულია ქვის გალავნით, რომლის შიგნითაა მოქცეული საცხოვრებელი სახლი და მასთან დაკავშირებული კაპიტალური თუ მსუბუქი შენობები (კალო, ფარდული და სხვ.). რომლებიც ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს და ორგანულ მთელადაა შეკრული. აქ თავდაცვის ფუნქცია გამოყოფილია საცხოვრებელ–სამეურნეო ფუნქციათაგან და საგანგებოდ ამისთვის აგებულ კოშკს ეკისრება.

საცხოვრებელ სახლში სართულები ისევე ნაწილდება, როგორც ციხე–სახლში: ქვემოთ მაჩვიბია, ზემოთ დარბაზი. „მაჩვიბის ფართობი უდრის საშუალოდ 10 × 12 კვ. მეტრს, მისი იატაკი მიწისაა. ოთახი სწორკუთხაა, უფანჯრო, შუაში ჩვეულებისამებრ კერაა, რომელიც – სულ სხვადასხვა ტიპის საცხოვრებლებში უძველესი დროიდან განსაზღვრულ კვანძს, ბირთვს წარმოადგენს. მაჩვიბს წინ უძღვის წაგრძელებული დერეფანი (ჰაგამ) – ეს არის მაჩვიბის შესასვლელი. „უპირველეს ყოვლისა, ჰაგამის დანიშნულებაა მაჩვიბში სითბოს შენარჩუნება. გარდა ამისა, მას ქონდა საბრძოლო–თავდაცვითი დანიშნულებაც და სამეურნეო ფუნქციაც... ჰაგამი მიშენებულია სახლის კედელზე გარედან. იგი უმეტეს შემთხვევაში ქვიტკირისაა, მაგრამ ზოგჯერ მორებისგანაც აშენებენ. დერეფნიდან მაჩვიბში შესული კაცი პირველად ხვდება მცირე ტალანში (ბაგ), ხის მორებით ან ნაჯახით გათლილი სქელი ფიცრებით გამოყოფილ პატარა ოთახში. მისი ფართობი 3 × 3 მეტრია. აქ დგას ხის კიბე მაჩვიბიდან დარბაზში ასასვლელად (საამისოდ ჭერში დატანებულია გასაძრომი – ჰულდუმ – რომელსაც კვამლის გასაშვებადაც იყენებდნენ. ზოგ სახლში ორ–ორი ჰულდუმია და ერთი მათგანი კვამლის ასასვლელადაა განკუთვნილი). ბაგს ორი კარი აქვს – ერთი თვით მაჩვიბისკენ, მეორე – საქონლის სადგომში, ზოგჯერ მესამეც, როცა იქ მიშენებულია ბეღელი. მაჩვიბის ერთი ნიშანდობლივი თავისებურებათაგანი სწორედ ის არის, რომ აქ ადამიანებიც ცხოვრობენ და

საქონელიც დგას. არსებითი მნიშვნელობა აქვს ჭერს: აქ, ციხე–სახლის მაჩვიბისაგან განსხვავებით, ყოველთვის ხის ჭერია, ბრტყელი, მძლავრი კოჭებით. აქაური სივრცე უფრო ფართოა და დაბალი, ვიდრე ქვის ჭერიან მაჩვიბში, სადაც ჭერის დაქანებული ფერდები შუაში შემაღლების შთაბეჭდილებას ქმნის. ამის გარდა, აქ ფართობიც მეტია. თვალსაჩინო ელემნეტია ხისავე აყარა, ჭერზე შეკიდული სახურავი კერისათვის – იგი ამ უკანასკნელს „იცავს ჭერიდან ჩამოცვენილი მტვრისაგან. აყარზე არის ჩამოკიდებული საკიდელი და სასანთლე.

მაჩვიბში, ისევე როგორც მთა საქართველოს სხვა კუთხეთა საცხოვრებლებში, ავეჯს წარმოადგენს მასიური, მკვიდრად შეკრული, სწორკუთხოვანი ზურგიანი სკამები (მათ შორის ე.წ. საუფროსო სკამი) და გრძელი სკამები.

დარბაზი უმეტესად მაჩვიბის თავზეა, მაგრამ შეიძლება საქონლის საზაფხულო სადგომის თავზედაც იყოს. აქ საქონელს ადგილი აღარ აქვს, ამიტომ დარბაზის ფართობი ჩვეულებრივ უფრო მცირეა, ვიდრე მაჩვიბის. „ხშირია ისეთი კომპოზიციაც, როდესაც მაჩვიბის თავზე არამარტო დარბაზია, არამედ თივის საცავიც; მაშინ თივის საცავის იატაკსა და მაჩვიბის ჭერს შორის კეთდება ხვრელი, რომლის საშუალებითაც ზამთარში თივას ყრიან.“ შუა დარბაზშიაც კერაა გამართული. კვამლის საგანგებო გასასვლელი არ არის, არც სარკმლებია, დარბაზიც შესასვლელიდან ნათდება (უკეთესად, ვიდრე მაჩვიბი, რადგან შესასვლელის წინ დერეფანი – ჰაგამი არ არის). თუმცა საერთო პროპორციებით დარბაზი მაჩვიბის მსგავსია, სივრცობრივი შთაბეჭდილება აქ რამდენადმე განსხვავებულია, რადგანაც, ბრტყელი ჭერის ნაცვლად ნივნივები და ორფერდა სახურავი ჩანს. დარბაზს ცალ მხარეს ღია ტერასა აქვს: „ქვემოთ იგი გამოყენებულია, როგორც სამეურნეო დანიშნულების ფარდული, თვით ტერასაზე კი ზაფხულობით მთელ საოჯახო საქმიანობას აწარმოებენ.„.

მეორე უმთავრესი ნაწილი სვანური საცხოვრებლისა – კოშკი (მურყვამ) – საცხოვრებელი სახლის გვერდით დგას. ჩვეულებრივ სახლსა და კოშკს შორის მცირე მანძილია: „როცა საცხოვრებელს თავდასხმის საშიშროება მოელოდა, მთელი ოჯახი კოშკში გადაბრგდებოდა საჰაერო გადასასვლელით, რის შემდეგაც გადასასვლელს დაშლიდნენ... მტრისგან თავდაცვის მოსაზრებითვე კოშკის შესასვლელი კეთდებოდა მიწის დონიდან 5–6 მეტრის სიმაღლეზე მაინც.

გამონაკლისის გარეშე ყველა სვანური კოშკი კვადრატულია. საფუძველთან მისი გვერდი 5.5 × 6.5 მეტრია. უფრო გავრცელებულია 4 და 5 სართულიანი კოშკები, იშვიათია 6 სართულიანი. სიმაღლე 25–30 მეტრს აღწევს. კოშკის შიგნით მთელი ქვემო ნაწილი მიწითაა ამოვსებული (მხოლოდ უშგულში არ არის ასე) და პირველი სართული 5–7 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. უმეტესად ზემოთკენ კოშკი რამდენამდე ვიწროვდება. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ჭერში მოწყობილი ხვრელებით და მისადგმელი ძელ–კიბეებით (სართულშუა გადახურვა ზოგი ქვისაა, ზოგი მორების, ორფერდად მოწყობილი). ყველაზე საინტერესო და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მეტყველი ნაწილი კოშკის – ზემო დამაგვირგვინებელი სართულია, რომელსაც უმთავრესი სათავდაცვო ფუნქცია ეკისრებოდა.

ამ სართულის სახურავი ორფერდაა, კედლების ზემო ნაწილი გარეთ გაწეული და გადმომჯდარი აქვს 50–80 სმ–ით. აქაა გაკეთებული სათოფურები, რომლებიც ამ „გადმოჯდომის“ წყალობით საშუალებას იძლევა მომხდურს არამარტო თოფი ესროლონ, ლოდებიც დააყარონ და ფისიც დაასხან (შვეულად).

კოშკებს რაიმე კეთილმოწყობა არ გააჩნია, მაგრამ არის იატაკში ჩაკირული ქვევრები წყლის მარაგისათვის.

ორსართულიანი მაჩვიბიანი და დარბაზიანი სახლი, კოშკი და ეზო, რომლის ფარგლებშიაც კალო და სხვადასხვა სამეურნეო ფარდულებია – ასეთია ბალსზემო სვანეთის ძველებური სახლ–კარის აუცილებელი კომპონენტები. ცხადია, ყველა სახლი სტანდარტულად ერთნაირი არ არის. ცალკეული ნიმუში განსხვავდება მასშტაბით, რელიეფზე განლაგებით, კოშკის, სახლისა და ეზოს ურთიერთშეფარდებით. არის კომპლექსები სადაც რამდენიმე მაჩვიბი და ორი–სამი კოშკია,

სახლების კოშკების გარდა, ზემო სვანეთში აშენებდნენ ცალკე მდგომ კოშკებსაც საერთო თავდაცვისათვის. ეს კოშკები, არაფრით არ განსხვავდება სახლების კოშკებისაგან, მხოლოდ ცოტა უფრო დიდია.

ბალსქვემო სვანეთი.

აქ გამოიყოფა საცხოვრებლის ოთხი სახესხვაობა:

ა) **მურყვამიანი სახლი,** ისეთივე, როგორც ბალსზემოთ იყო.

ბ) **სვანირიანი სახლი.** შედგება ორი ნაწილისაგან: ერთია ქორ, ჩვეულებრივი სვანური ორსართულიანი სახლი, ქვის, მაჩვიბითა და დარბაზით; მეორეა სვანირი, ორსართულიანინი ან სამსართულიანი კოშკი, მურყვამთან შედარებით ბევრად უფრო დაბალი. პირველ სართულზე სურსათ–სანოვაგეს ინახავდნენ, მეორე – საცხოვრებელი ოთახი იყო, მესამე – თავდაცვისათვის, ისევე როგორც მურყვამის ზემო სართული (აქ ქონდათ იარაღი, თოფისწამალი, ლოდები და სხვა.). მაშასადამე, კოპოზიციური პრინციპი – კოშკისა და სახლის, ჰორიზონტალისა და ვერტიკალის შეთავსება – აქ თითქოს იგივეა, რაც ბალსზემოურ მურყვამიან სახლში, მაგრამ შეფარდების სიმკვეთრე აქ ძლიერ შენელებულია, ზოგან კი საერთოდ აღარც არსებობს, იმიტომ, რომ ზოგი სვანირი სახლისავე სიმაღლისაა, ზოგი კი უფრო დაბალიც.

ხუროთმოძღვრული ელემენტები, კერძოდ, მაშიკულებიანი გადმომჯდარი გვირგვინი, ისეთივეა, როგორც მურყვამში. ფუნქციურად მურყვამიან სახლთან შედარებით ის განსხვავებაა, რომ: ა) მაჩვიბზე მიშენებული ბეღელი (გვემ) აქ სვანირის ქვემო სართულშია გადატანილი, ბ) საცხოვრებელი ოთახი კოშკშიც (სვანირშიც) არის. სვანირიანი სახლის უკეთ შენახული ნიმუში სოფ. ბარშშია დარჩენილი.

გ) **სანცხვირიანი სახლი.** უკოშკოა, „თავდაცვის ფუნქციას ასრულებს სახლის ერთ კუთხეზე მიშენებული ქვის ბუდე, რომელსაც სათოფურები აქვს დატანებული“.

დ) სახლი, რომელსაც სათავდაცვო ელემენტები არ გააჩნია.

ინტერიერის ელემენტები ტრადიციულ სვანურ საცხოვრისში

სვანური საცხოვრისის არქიტექტურის განხილვისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერიერის დახასიათებას. ყურადსაღებია, რომ სვანური ავეჯი მჭიდროდ არის დაკავშირებული საცხოვრებლის ინტერიერთან და მის ერთგვარ აქსესუარს შეადგენს. სწორედ ამიტომ პრეზენტაციის ამ ეტაპზე მეტი ყურადღება დაეთმობა სვანური ავეჯის აღწერას.

როგორც ცნობილია სვანურ სახლში გამიჯნული იყო მამაკაცისა და ქალების სამყოფი ადგილი.

კერის წინა - აღმოსავლეთის მხარე ანუ **კაცხაშ** მამაკაცებს ეკუთვნოდა. კერის შიგნითა და უკანა მხარე დასავლეთის დედაკაცების სამყოფი იყო - **ლაზვრაალ.** მამაკაცთა მხარეს, კაცხაშში სახლის უფროსის სავარძელი - საკურცხილ (საკარცხულ, ჰასკამ) იდგა. აქვე კერის გარეთა მხარეს იყო მამაკაცების დასაჯდომი გრძელი სკამი. დასავლეთის მხარე ქალებისა და მოზარდი თაობის ადგილად ითვლებოდა. იქ იდგა ქალების სკამი - ბანდაარ. სხვადასხვა სურსათ სანოვაგის შესანახი კიდობნები, სკივრი, ჯარ-ვარცლი. ხელყუთებიც ამავე მხარეს თავსდებოდა.

საკაცო მხარეს განლაგებული იყო მამაკაცის სახმარი შრომისა და საბრძოლო იარაღები. კაცხააშ-ისკენ ეკიდა ნანადირევი ჯიხვის რქები. თუ ოჯახის რომელიმე წევრი მოფკანარი, იგივე ხის ჭურჭლის მხვეწავი, ან ავეჯის მკეთებელი იყო აქვე თავსდებოდა მისი იარაღებიც.

კერის უკანა მხრეს კაცის ჯდომა შეურაცხყოფად ითვლებოდა და არც ერთ შემთხვევაში არ იყო დასაშვები. ამ მხარეს საწოლები - ტახტი, ლეგინ, ლაყვრა, ფიცაარ, აგრეთვე აკვან/ჰენწ უნდა მდგარიყო. მამაკაცები და ქალები სხვადასხვა მხარეს სხდებოდნენ არა მარტო წვეულების დროს, არამედ ჩვეულებრივ პურობის დროსაც.

ქალისა და მამაკაცის ადგილების გამოყოფა საცხოვრისში შრომის განაწილების ანარეკლს წარმოადგენს. ვინაიდან საქონლის მოვლა მამაკაცის პრეროგატივას წარმოადგენდა მისი ადგილი საქონლის მხარეს უნდა ყოფილიყო, ასევე კაცის სამყოფელს თავდაცვის საჭიროებაც განსაზღვრავდა. ხოლო ქალს, რომელიც საოჯახო მეურნეობას განაგებდა, პურს აცხობდა, რძის ნაწარმსა და საჭმელს ამზადებდა კერის უკანა და შიგნითა მხარე ეჭირა.

ავეჯს, გარდა რეალური ფუნქციისა, მაგიური დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. კერძოდ მერხი ის საგანი იყო, რომელზეც ტრადიციული წესის მიხედვით სრულდებოდა შესაწირი ზვარაკის დაკვლა. (მაგალითად, ღორის დაკვლის რიტუალი, სისხლის პკურების ტრადიციაც).

სვანური სახლის ძირითადი კომპონენტი, ავეჯი, მონუმენტალობით გამოირჩევა. მას სადა მოყვანილობა, ლამაზი პროპორციები და მოხდენილი სილუეტი აქვს. სვანური ავეჯი მჭირდოდ არის დაკავშირებული საცხოვრებლის ინტერიერთან და მის ერთგვარ აქსესუარს შეადგენს. სვანეთში ხალხური ავეჯის შემდეგი სახხეობანი მოწმდება: ლაყვრა/ლეგინ - ხის საწოლი. ტახტ/ფიცარ/ლერგიმ, ჯორკო - ქალების სასხდომი კუნძი, კიბდონ/კიბდენ/ხავრალ - დიდი კიდობანი, ტაბაგ ფიჩქ - მაგიდები, სკივრ - სკივრი, ბეჯერ - საჭურჭლე ნისშუ, კიცორა - ჯამ-ჭურჭლის შესანახი მოწნული სათავსო. სვანური საცხოვრებლის „მაჩუბის“ შიდამოწყობილობას ავსებდა აგრეთვე სხვადასხვა ზომის დაჭრელებული ყუთები, ლაჯგრაშ-პურის საზელი გობი. ჯარ-ვარცლი, რომელიც სვან მეავეჯეთა ცოდნასა და გემოვნებაზე მეტყველებდა.

სვანი მეავეჯე ავეჯის კეთებისას ფრთხილად არჩევს ხის მასალას, იარაღებს, ხის მოჭრის დროს და წესს, ორნამენტს, ფორმას. საინტერესოა, რომ ხის მოჭრის დროს ითვალისწინებენ „ხოჩა დოშდულ“-ს (ხის მოჭრის დროს კარგ მთვარეს, თავიანთ ნაშრომებში, ასევე ახსენებენ კატონი, პლინიუსი, ვიტრუვიუსი და სხვები). სვანი ოსტატი ხის მოჭრის საუკეთესო დღედ აღდგომის წინა კვირის ხუთშაბათს ასახელებს, ამ დღეს მოჭრის მასალას მისი აზრით ოჯახისთვის ხვავი და ბარაქა მოაქვს. (ცნობილია პირველი ნაფოტის ტრადიციაც - გულით დაცემული - წველაში ბარაქა, ქერქით დაცემული - კარგი მოსავალი).

ავეჯის ისეთი კომპონენტი, როგორიცაა ორნამენტი, უაღრესად დიდ როლს თამაშობს ავეჯის სტილის ჩამოყალიბებაში. სვანურ ხის ავეჯზე ორნამენტის მრავალნაირი დეტალი გვხვდება. ასეთებია: ბორბალ - გასხივოსნებული წრეხაზი, ყვიმ - სამკუთხედის მოყვანილობის ორნამენტი, დოშდულ - მთვარე გადმოცემული მცირე წრეხაზით და ა.შ.

სვანურ ავეჯზე გამოსახული ესა თუ ის დეტალი ხშირად რაიმე ნივთის ან არსების გამომხატველი იყო. მაგ - რქა ხარს გამოსახავდა, ხელი - ადამიანს. სვანურ ავეჯს გარდა საერთო მთიელთა ორნამენტისა ლოკალური, რკალური ორნამენტიც გააჩნია. რკალური ორნამენტი უფრო ინტერიერულია, იგი არქაულიდან მომდინარედაა მიჩნეული. იგი, როგორც ცნობილია არიქიტექტურული ელემენტების ასახვას წარმოადგენს ორნამენტში. ასევე გვხვდება ბორჯღალიანი ავეჯიც. თავად ბორჯღალი, როგორც სრულიად ქართული ორნამენტი, მზის კულტთან, ასევე კოსმოსთან არის კავშირში. იგი ძირითადად შვიდი ფრთისგან შედგება, რომლებიც წარმართული ქართული პანთეონის ციურ მნათობებს და პლანეტებს აღნიშნავენ.

როგორც ცნობილია, სვანების ნახელავი გამორჩეული იყო და ძვირად ფასობდა როგორც შიგ სვანეთში, ასევე სვანეთის გარეთაც, მაგალითად სამეგრელოში – სკივრები ფასდებოდა ჭრილის მიხედვით და სამ თხაზე ნაკლები არ ღირდა.

ხალხური ავეჯის უდიდესი მნიშვნელობა პირველ რიგში მის პრაქტიკულ გამოყენებაშია. განსაკუთრებით დიდია მისი გამოყენების შესაძლებლობა არქიტექტურაში - საცხოვრებელ

ნაგებობათა ინტერიერში. ამდენად სვანური სახლის ინტერიერის წარმოდგენა სვანური ავეჯის განლაგებისა და აღწერილობს წარმოდგენის გარეშე შეუძლებელია.

ზოგადი ფაქტები სვანური კოშკების შესახებ

სვანეთში დღემდე დაცული 200-ზე მეტი კოშკისა და ნაკოშკარის უმეტესი ნაწილი XI-XII საუკუნეებშია აშენებული, ხოლო მათი მშენებლობის საწყისი ეტაპი კი VI-VII საუკუნეების ბიზანტიურ წერილობითი წყაროებით დასტურდება. ფეოდალური ხანის ვრცელ პერიოდში სვანეთში ქვითკირით საცხოვრებელი სახლებისა და გამაგრებული ციხეების მშენებლობა მაღალ დონეზე მდგარა.

აღსანიშნავია, რომ ცალკე მდგომი კოშკები ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელების ძირში შენდებოდა იმ გათვლით, რომ უღელტეხილებიდან ჩამოსულ ჯგუფს კოშკების კომპლექსზე უნდა გაევლო. თუკი ამ ჯგუფის მიზანი საომარი მოქმედება იყო, მათ პრაქტიკულად გადარჩენის შანსი არ ჰქონდათ.

თუმცა, არის კოშკების კიდევ ერთი ფუნქცია, რომელიც დღესაც ასრულებს თავის დანიშნულებას. კოშკი თავისი უსაძირკვლო კონსტრუქციით იდეალურად შეეფერება სეისმურად აქტიურ რეგიონს, ხოლო განლაგება ფერდობის მიმართ ისეა გათვლილი რომ ზვავებისა და მეწყერებისგან იცავს ძირითად საცხოვრებელს.

ყველა კოშკს საკუთარი სახელი გააჩნია, მაგალითად ათმურზაშა, ყუდუშ ჟიბშარეშ, სოხაშა, ჩვიბარეში, ფუთაშა, მულახის მაცხოვარი კოშკი, ნინაუშა და სხვა.

ტრადიციული სვანური საცხოვრისის ტრანსფორმაციის პრობლემა

თანამედროვე ტიპის საცხოვრებლების გავრცელება სვანეთში სწრაფი ტემპით წარიმართა. დღეისათვის არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კომლი, რომელსაც არ გააჩნდეს ძველისგან სრულიად განსხვავებული, ახალი ტიპის სახლი. სვანებმა ადვილად აითვისებს მისი მშენებლობის ტექნიკა. ახალი ტიპის საცხოვრებელ ნაგებობათა ჩასახვის პერიოდი მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან იწყება და მოდის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებამდე და დღემდე გრძელდება. ჩვენს მიერ თავში აღნიშნული საცხოვრებელი ნაგებობების არქიტექტურის ცვლილება მრავალი ფაქტორით იყო გამოწვეული, მათ შორის უპირველესია ხალხის ცხოვრების წესის და, გარკვეულწილად, საქმიანობის ცვლილება, ცივილიზაციის შესვლა მაღალმთიანი სვანეთის მიუვალ სოფლებში. სვანებმა აითვისეს საქართველოს ბარისთვის დამახასიათებელი ნაგებობები, მათ შორის ოდა სახლები, პალატიანი სახლები და სხვა. ასევე, ვინაიდან საბჭოთა კავშირის პერიოდში საქონლის

თავმოყრა მოხდა კოლმეურნეობებში, მაჩუბში საქონლის სამყოფი ფუნქცია დაიკარგა და ნელ-ნელა იგი სახლს გამოეყო. გახშირდა მაჩუბის გარეთ ახალი, უშუალოდ საცხოვრებელი დანიშნულების ერთსართულიანი აივნიანი სახლების შენება, სამეურნეო ფუნქცია კი მხოლოდ მაჩუბში რჩება.

დროთა განმავლობაში შეიცვალა სახლის ინტერიერიც. მეოცე საუკუნის შუა წლებიდან ავეჯს უკვე ადგილობრივ მაღაზიებში და ზუგდიდის ავეჯის მაღაზიებში ყიდულობენ. იცვლება დგამ-ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებიც, რამაც საოჯახო პირობები გააუმჯობესა.

თანამედროვე საცხოვრებლების მშენებლობის სისტემამ წარმოშვა დასახლების სრულიად ახალი ქალაქური ტიპის სოფლები ქუჩის გასწვრივ და ეზოკრული (იმერული) უბნები. დასახლების ახალმა ფორმამ საბოლოოდ დაარღვია დასახლების ძველი სისტემა, სადაც სახლები ერთმანეთის მიჯრით, მჭიდროდ შენდებოდა.

20-ე საუკუნის ბოლო წლებიდან და 21-ე საუკუნეში სვანეთში კომუნიკაციების შეყვანამ და ინფორმაციის გავრცელებამ უმშვენიერესი სვანეთის შესახებ, მსოფლიოს დაინტერესება გამოიწვია. ტურისტების მასობრივმა მოძრაობამ სვანეთის მთებში მოსახლეობის სრულიად ახალი საქმიანობის ჩამოყალიბება გამოიწვია. სვანებმა საოჯახო სასტუმროების მოწყობა დაიწყეს, რომლებმაც ასევე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უძველესი ნაგებობების დაკარგვას. სიდუხჭირეს მიჩვეული სვანი გლეხი ყურადღებას აღარ აქცევს ძველი ტრადიციის შენარჩუნებას ნაგებობის შენებისას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გამო, მზად არის დაანგრიოს ტრადიციული ნაგებობები. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვთარებამ ბოლო დროს სვანეთში თანამედროვე ტენდენციები შემოიტანა, შეუცვალეს სახე მის გარკვეულ ნაწილს... მოგეხსენებათ, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას მნიშვნელოვანი საფრთხეები ახლავს თან, რაც ისტორიული ლანდშაფტის, კულტურული პეიზაჟის, ტრადიციებისა და უძრავი ძეგლების ცვლილებაში ვლინდება. მე ვფიქრობ, რომ საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, რომ სრულიად თანამედროვე იერსახის და ინტერიერის მშენებლობა დაიწყოს სვანეთში დამეთანხმებით აბსოლუტურად არასწორია, ვინაიდან ტურისტთა სრული უმეტესობას სწორედ სვანეთის არქაული, მისტიკური ეგზოტიკა იზიდავს.

ზოგადი აღწერით, ვფიქრობ, გამართლებულია ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში საცხოვრებლის არქაული ტიპი სახეცვლილებას განიცდის, ვინაიდან ახალი სახლი ცხოვრების თანამედროვე პირობებს, თანამედროვე ადამიანის საჭიროებებს უნდა მოერგოს. თუმცა, ამავე დროს, მიმაჩნია, რომ თუ სვანი მოსახლე შეინარჩუნებს სვანური ციხე-სახლის და მურყვამიანი სახლის ძირითად არქიტექტურული იერსახეს, ხის ავეჯს ინტერიერში, მხოლოდ მოაწყობს მას თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე (შეიყვნას კომუნიკაციებს, შეუსაბამებს ინტერიერის სხვადასხვა დეტალს უძველეს ხის ავეჯს, ქვის იატაკს და კედლებს და სხვა) ტურისტების მეტ დაინტერესებასაც გამოიწვევს და თანაც შეინარჩუნებს ყველაზე საინტერესო არქაულობასაც. მაგალითად იმისათვის, რომ არ დაინგრეს მურყვამიანი სახლის გეგმარება შეიძლება მას გარედან მიეშენოს ტუალეტი და სააბაზანო და შიგნიდან დაუკავშირდეს

მთავარ ოთახს. ასევე შესაძლებელია ცალკე შენობის გაჩენა ეზოში, რომელიც ქორ-თან ახლოს განლაგდება და ვფიქრობ, არც ისეთი მოუხერხებელი იქნება საოჯახო პირობებისთვის.

ზემო სვანეთში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება ბევრად სცილდება საქარველოს ფარგლებს და მსოფლიო მნიშვნელობას იძენს. ჯერ კიდევ მე-20 ს-ის II ნახევარში, საქართველოს ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი ზემო სვანეთის არა მხოლოდ ცალკეული ძეგლები, არამედ მთლიანად დასახლებები — ზემო სვანეთის 42 სოფელი, ქალაქ-გეგმარებით ძეგლადაა აღიარებული. ასევე სვანეთის ძეგლთა შენარჩუნების მიზნით 1970 წელს ნაკრძალად გამოცხადდა მესტიის უბანი ლაღამი, ხოლო 1971 წელს შიქმნა უშგულ-ჩაჟაშის ნაკრძალი. საქართველოს მთავრობის ნომინაციის საფუძველზე, 1996 წლიდან უშგულის თემის სოფელი ჩაჟაში UNESCO —ს მსოფლიო მემკვიდრეობის საუკეთესო ძეგლთა ნუსხაშია შტანილი.

საბოლოო დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მომავალმა არქიტექტორებმა სვანეთისა და ზოგადად საქართველოს კუთხეების ტრადიციული არქიტექტურის ღრმა კვლევა-ძიება უნდა ჩავატაროთ, რათა გამოვავლინოთ რომელი ელემენტებია უმნიშვნელოვანესი მომავალი თაობებისთვის შემოსანახად, ასევე, საქართველოს წარმოსაჩენად მსოფლიო ასპარეზზე. ვფიქრობ, ყველაზე ფასეულია სწორედ იმგვარი არქიტექტურა, რომელიც ადგილობრივ თავისებურებებზეა დაფუძნებული და ამავე დროს გონივრულად და გემოვნებით ერწყმის თანამედროვეობას. ყოველივე ეს ცხადია საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია და სპეციალისტთა ფართო სპექტრის ჩართვას მოითხოვს. ამგვარი განვითარება უთუოდ მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოსასვლელად. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელი იქნება სახელმწიფო ორგანოებისა და სვანური საცხოვრისების კერძო მფლობელების ერთობლივი ძალისხმევა.

კულტურული მემკვიდრეობა ის საფუძველია, რომელიც გვამოძრავებს, წინსვლისკენ გვიბიძგებს, ჩვენს იდენტობას განაპირობებს და საკუთარ თავში რწმენას გვაძლევს. ეს არის გენეტიკური გამოცდილების, ცოდნისა და კეთილდღეობის წყარო, რომელსაც გაშიფვრა, გაცხადება და მომავალი თაობისათვის გადაცემა სჭირდება. სწორედ ამიტომ უბრალო დამთხვევა არ არის, რომ წარმოშობით სვანმა გოგონამ გადავწყიტე ჩემი პრეზენტაციით ტრადიციული სვანური საცხოვრისის არქიტექტურასთან მიგაახლოვოთ. ჩვენზე, ახალგაზრდა თაობაზეა დამოკიდებული, თუ რას შევუსისხლხორცებთ უძველეს ქართულ არქიტექტურას თანამედროვე მიღწევებიდან და რომელ ელემენტებს დავუტოვებთ მას სამარადჟამოდ. სწორედ ასე შეგვიძლია გადავარჩინოთ ჩვენი კულტურის ავთენტურობა, რაც, ვფიქრობ, საბოლოოდ გადაარჩენს და შეინახავს მომავლისთვის ჩვენს პატარა მამულს, საქართველოს.